საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
№ 1-1/200	№ 01-98/ი
"11" მაისი "2017 წელი	"11" მაისი "2017 წელი

ერთობლივი ბრძანება

,,საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ"

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" 35-ე მუხლის; საქართველოს კანონის ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის"; ,,საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის N70 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ო" ქვეპუნქტის; ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის N1-1/1527 ბრძანების; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ნ" ქვეპუნქტისა და მე-18^8 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებთ:

1. მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან, ასევე, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც შეიცავს მომეტებულ რისკს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობისათვის, შრომის პირობების მონიტორინგისა და ობიექტის ტექნიკური ინსპექტირების მიზნით, შეიქმნას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფი (შემდგომში - მონიტორინგის ჯგუფი), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა (შემდგომში - სააგენტო) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის (დეპარტამენტი) წარმომადგენელთა შემადგენლობით;

2. მონიტორინგის ჯგუფის პერსონიფიცირებული შემადგენლობა განისაზღვრება სააგენტოსა და დეპარტამენტის ხელმძღვანელების მიერ;

3. საჭიროების გათვალისწინებით, ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული

მონიტორინგის ჯგუფის წევრების გარდა, მონიტორინგის ჯგუფის მუშაობაში შეიძლება ჩართული (მოწვეულ) იქნენ სხვა პირებიც, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. მონიტორინგის ჯგუფმა უზრუნველყოს, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან, ასევე, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც შეიცავს მომეტებულ რისკს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის, დასაქმებულთა შრომის პირობებისა და სამუშაო ადგილების შესაბამისობის შეფასება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შრომისა და უსაფრთხოების მოთხოვნებთან და ობიექტის ტექნიკური ინსპექტირება;

5. მონიტორინგის ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მოქმედებს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

საქართველოს
ეკონომიკისა
და მდგრადი განვითარების
მინისტრი

გიორგი გახარია

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
მინისტრი

დავით სერგეენკო